ინფორმაცია სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის ორგანიზებულ ტრენინგების შესახებ (16.10.2013 – 25.10.2013)

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში სწავლების ცენტრმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრთან ერთად განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრებისათვის.

პროექტი განხორციელდა სამ ეტაპად:

I ეტაპი – სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადება (ტრენერთა ტრენინგი)

II ეტაპი – ტრენერთა მიერ სასწავლო პროგრამის განხორციელება სასჯელაღსრულების დაწესებულების სხვა თანამშრომლებისათვის

III ეტაპი – ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

სასწავლო მოდულები:

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხები
- სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების წესი
- პატიმრების მიერ ხმის მიცემის პროცედურები

პატიმრების მიერ საარჩევნო უფლების სრულფასოვნად რეალიზებასთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.